დამტკიცებულია
ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის
№01-02/168 ბრძანებით

ცვლილება შევიდა ბსუ-ს რექტორის მოადგილის
2020 წლის 5 ივნისის № 01-02/54 ბრძანებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მებაღეობა

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32, 6010

ტელეფონი/ფაქსი: +995(422) 27–17–80

ვებ–გვერდი: bsu.edu.ge

ელ-ფოსტა: info@bsu.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელები:
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი,
ლეილა ებრალიძე
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
დავით ხარაზიშვილი

ბათუმი, 2020

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მებაღეობა“

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე:** მებაღეობა/ Horticulture
2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა ,,მებაღეობა” -** მებაღეობა / Horticulture 08111-3
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში / Secondary Vocational Qualification in Horticulture
4. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მებაღეობის სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ნიადაგის დამუშავებას, ღია და დახურულ გრუნტში მცენარეების დარგვასა და მოვლას, დეკორატიული მცენარეების გამრავლებას და სხვლა-ფორმირებას, ბაღის სხვადასხვა მხატვრული ელემენტებით მოწყობის დაგეგმვასა და განხორციელებას.
5. **დაშვების წინაპირობა**
   - პროგრამის დანართი N1-ით გათვალისწინებული სასწავლო გეგმით სწავლებაზე დაშვების წინაპირობაა **სრული ზოგადი განათლება;**
6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

მებაღეობაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ბოტანიკურ ბაღში, ქალაქის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურში, პარკებში, სკვერებში, დეკორატიული მცენარეების სანერგე მეურნეობებში, დახურული გრუნტისა და სასათბურე მეურნეობაში, სამშენებლო კომპანიაში, დიზაინერული პროფილის ოფისებში.

დასაქმების პოზიციები:

- მებაღე
- ლანდშაფტის მებაღე
- ბაღის მომვლელი
- გაზონის მთიბავი
- სანერგეს მეურნეობის დამხმარე
- ბაღის მოწყობის სპეციალისტი.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორში (ISCO) იდენტიფიცირებული კოდებია - 6113, 9214

7. **სტრუქტურა და მოდულები**

მებაღეობაში მეოთხე დონის კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამში 85 კრედიტი, რომელთაგან 12 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 23 კრედიტი - პროფესიული მოდულები, 50 კრედიტი ,,მებაღეობის“ კონცენტრაციის მოდულები. სწავლების ხანგრძლივობა 15 სასწავლო თვე.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. მათთვის პროგრამის

მოცულობა შეადგენს 115 კრედიტს. მათ შორის, 15 კრედიტი განკუთვნილია ,,ქართული ენა A2" მოდულის და 15 კრედიტი ,,ქართული ენა" B1 სწავლებისათვის. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის სწავლების ხანგრძლივობაა 20 სასწავლო თვე.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	მეწარმეობა 2	2
4	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	4
	სულ	12
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - მებაღეობა	2
2	მცენარეთა სისტემატიკა	2
3	დეკორატიული მცენარეები	10
4	ბაღში ჩასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებები	2
5	დეკორატიულ მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიცირება	2
6	ნიადაგების იდენტიფიცირება	1
7	საქართველოს ფლორა	2
8	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
	სულ	23
კონცენტრაცია „მებაღეობის" მოდულები		
1	ნიადაგი და მისი მომზადება	5
2	ბაღის მოვლა	7
3	დეკორატიულ მცენარეთა გამრავლება	6
4	მცენარეთა სხვლა-ფორმირება	6
5	მცენარეთა დაცვა	3
6	გაზონის მოწყობა და მოვლა	3
7	ბაღის საინჟინრო ელემენტების მოწყობა	7
8	ბაღის მხატვრული ელემენტების მოწყობა	7
9	პრაქტიკული პროექტი მებაღეობაში - კონკრეტული ტერიტორიისთვის პროექტის მიხედვით ბაღის მოწყობა	6
	სულ	50
	ჯამი	85

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამი სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს:

1. ნიადაგის დამუშავებას;
2. ღია და დახურულ გრუნტში მცენარეების დარგვასა და მოვლას;
3. დეკორატიული მცენარეების გენერაციული, ვეგეტატიური და ქსენოვეგეტატიური გზით გამრავლებას;
4. დეკორატიული ხეების, ხეხილის, დეკორატიული ბუჩქების, კენკროვანი ბუჩქების, ხვიარა მცენარეების, ვარდების სხვლა-ფორმირებას;
5. გაზონის, სარწყავი სისტემის, წყლის სარკეების, ბილიკის, კიბის, მოედნის მოწყობას;
6. ბაღის სხვადასხვა მხატვრული ელემენტებით (ყვავილნარი, ალპინარიუმი, როკარიუმი) მოწყობის დაგეგმვასა და განხორციელებას.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ განხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე და პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ობიექტებზე.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და

წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა; არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეროგატივას.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი;
- „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების. კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის 69/ნ ბრძანება;

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი „მებაღეობა“ - 08201-პ (დამტკიცებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 11 ივლისის №628/ი ბრძანებით (ცვლილება - 31.01.2019 წლის N 92/ი ბრძანება);

პროფესიული სტანდარტები:

- მებაღე

კლასიფიკატორები:

- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.)
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO)
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED)

14. დანართები:

დანართი 1 - სასწავლო გეგმა

დანართი 2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

დანართი 3 - 0610003 - ინფორმაციული წიგნიერება 1

დანართი 4 - 0410004 - მეწარმოება 2

დანართი 5 - 0030104 - ინტერპერსონალური კომუნიკაცია

დანართი 6 – 0230101 - უცხოური ენა (ინგლისური ენა)

დანართი 7 - 0110001 - ქართული ენა A2

დანართი 8 - 0110002 - ქართული ენა B1

დანართი 9 - 0811101 - გაცნობითი პრაქტიკა - მებაღეობა

დანართი 10 - 0811103 - დეკორატიული მცენარეები

დანართი 11 - 0811110 - ბაღში ჩასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებები

დანართი 12 - 0811105 - დეკორატიულ მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიცირება

დანართი 13 - 0811106 - ნიადაგების იდენტიფიცირება

დანართი 14 - 0911333 - საქართველოს ფლორა

დანართი 15 - 0811102 - მცენარეთა სისტემატიკა

დანართი 16 - 0911202 - გარემოსდაცვითი საფუძვლები

დანართი 17 - 0811109 - ბაღის მოვლა

დანართი 18 - 0811110 - დეკორატიული მცენარეთა გამრავლება

დანართი 19 - 0811108 - ნიადაგი და მისი მომზადება

დანართი 20 - 0811111 - მცენარეთა სხვლა-ფორმირება

დანართი 21 - 0811112 - მცენარეთა დაცვა

დანართი 22 - 0811113 - გაზონის მოწყობა და მოვლა

დანართი 23 - 0811114 - ბაღის საინჟინრო ელემენტების მოწყობა

დანართი 24 - 0811115 - ბაღის მხატვრული ელემენტების მოწყობა

დანართი 25 - 0811116 - პრაქტიკული პროექტი მებაღეობაში - კონკრეტული ტერიტორიისთვის პროექტის მიხედვით ბაღის მოწყობა

დანართი 26 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი